სამართლებრივი საფუძვლები:

საჭირო პასპორტისა და ვიზის გარეშე ქვეყანაში შესვლა დანაშაულად ითვლება ბინადრობის შესახებ კანონის (AufenthG) 95-ე მუხლის შესაბამისად. პირი, რომელიც გერმანიაში შესაბამისი ბინადრობის უფლების ან ვიზის გარეშე იმყოფება, როგორც წესი, ვალდებულია, წავიდეს იმ ქვეყანაში, სადაც მას შესვლისა და დაყოვნების უფლება აქვს.

მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანის დანაშაული ისჯება ბინადრობის შესახებ კანონის 96-ე და 97-ე მუხლებით (მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანა, მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანა, რასაც მოჰყვა სიკვდილი, მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანა საშემოსავლო წყაროს გასაჩენად და მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანა კრიმინალური დაჯგუფების მიერ).

ბინადრობის შესახებ კანონის 96-ე და 97-ე მუხლების მიხედვით, დანაშაულის სიმძიმისა და ქმედების სახის შესაბამისად, სასჯელი მოიცავს ფულადი ჯარიმიდან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.
ბინადრობის შესახებ კანონის 95-ე მუხლის მიხედვით, ასევე ისჯება მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანაში დახმარების გაწევა.

მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანის ან დახმარების გაწევისათვის ფულადი ჯარიმისა და თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დანიშვნის პარალელურად, მოსალოდნელია ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებითი, ან საბოლოო კონფისკაცია, მართვის უფლების ჩამორთმევა და პროფესიული საქმიანობის აკრძალვა.

მნიშვნელოვანია

თუ თქვენ, როგორც მძღოლს, ეჭვი გაქვთ საზღვარზე მგზავრის უკანონო გადაყვანის ფაქტზე, ან გახდით საზღვარზე უნებართვოდ შემოსაპარებელი ან უნებართვოდ შემოპარებული პირის დამგზავრებისათვის საქმეში ჩასათრევად გამოლაპარაკების მცდელობის მოწმე, დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის თაობაზე ფედერალურ პოლიციას, ან ნებისმიერ პოლიციის განყოფილებას!

ნუ გახდებით დამნაშავე!

დაგვეხმარეთ, აღვკვეთოთ საზღვარზე მიგრანტთა ნაწილობრივ სიცოცხლისათვის საშიში უკანონო გადაყვანის შემთხვევები!

საფრთხეში ჩაყენების გარეშე დაიცავით საკუთარი თავიც და სხვაც!

110 პოლიციის ცხელი ხაზი
112 სასწრაფო დახმარების ცხელი ხაზი

ფედერალური პოლიციის უფასო მომსახურების ნომერი:
0800 6 888 000 (24 საათიანი წვდომით)
უცხოეთში დარეკეთ ევროპულ სასწრაფო დახმარების **ცხელ ხაზზე 112**, ან მიაკითხეთ უახლოეს პოლიციის განყოფილებას.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:
www.bundespolizei.de/schleusungen-verhindern

www.bundespolizei.de

იმპრესუმი
Bundespolizeipräsidium (ფედერალური პოლიციის პრეზიდიუმი)
Heinrich-Mann-Allee 103
14473 Potsdam
ელ/ფოსტა: kriminalpraevention@polizei.bund.de
2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით

სურათი გვ. 2: © Kjpargeter - Freepik.com

აქტიურად აღიკვეთოს მიგრანტების საზღვარზე უკანონო გადაყვანა!

მითითებები ტვირთმზიდ, ავტობუსითა და ტაქსით მგზავრთა მომსახურების, ასევე მანქანების გამქირავებელ და ქარშერინგის კომპანიებს

BUNDESPOLIZEI

იყავით ყურადღებით!

მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანის დანაშაული

სარგებლის მიღების ან დაპირების სანაცვლოდ ადამიანის გადაყვანა, ასევე განმეორებითი გადაყვანა, რამდენიმე ადამიანის გადაყვანა სახელმწიფო საზღვარზე, მათ შორის შიდა საზღვრებზე, არის საზღვარზე უკანონო გადაყვანის დანაშაული, თუკი ეს ადამიანები ქვეყნის საზღვარს უკანონოდ კვეთენ.

უმეტესწილად მამრობითი სქესის ეჭვმიტანილთა მიზანია, უპირველეს ყოვლისა, პირდაპირი ან ირიბი ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღება.

მიგრანტების საზღვარზე უკანონო გადაყვანა სხვადასხვა ხერხით ხდება:
უკანონოდ შემომსვლელ პირებს ან არალეგიტიმურად ნაშოვნი, ან გაყალბებული დოკუმენტები აქვთ თან (განსაკუთრებით, პირადობის დამადასტურებელი საბუთები), რათა შეძლონ ავტობუსის კომპანიებისა და დამგზავრების ცენტრების მეშვეობით ქვეყანათაშორისი მოგზაურობა.

ანდა, უკანონოდ შემომსვლელი პირი იმალება საზღვარზე გადამსვლელ ავტომობილში, მაგალითად, სატვირთო მანქანაში, ფურგონსა და მსუბუქ მანქანაში მათ დაძვრამდე ან შესვენებისას. მალულად, უსაფრთხოების ზომების დაუცველად მგზავრობისას საზღვრის უკანონოდ გადამკვეთი მიგრანტის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას დიდი საფრთხის ქვეშ აყენებს უჰაერობის, გაუწყლოვნების, გაყინვის რისკი, ან მანქანის ავარია.

მიაქციეთ ყურადღება:

შენგენის ქვეყნების შიდა საზღვრების გადაკვეთა ზოგადად კონტროლის გარეშეა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, მოგზაურებმა თან უნდა იქონიონ საზღვრის გადაკვეთისთვის საჭირო დოკუმენტები (პირადობის მოწმობა, პასპორტი, საჭიროების შემთხვევაში ვიზასთან ერთად). სიტუაციიდან გამომდინარე, პოლიცია უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ჩაატაროს სასაზღვრო ზონაში კონტროლი.

ტვირთის გადაზიდვისას:

- ნუ აიყვანთ მგზავრს ავტოსტოპით!
- შეძლებისდაგვარად ისე დააყენეთ მანქანა, რომ დარჩეს თქვენი მხედველობის არეში!
- შეამოწმეთ თქვენი მანქანა გამგზავრებამდე! მიგრანტების საზღვარზე უკანონო გადამყვანები გამიზნულად აკვირდებიან მარშრუტებს, ტვირთს და ქცევას.
- ხშირად აკვირდებიან და არჩევენ მძღოლებს საქმეში ჩათრევის მცდელობებისთვის.

ავტობუსის მიმოსვლისთვის:

- სატრანსპორტო კომპანიებს კანონი არ ავალდებულებს შეამოწმოს შენგენის შიდა საზღვრის გადამკვეთი მგზავრები, ფლობენ თუ არა ისინი საზღვრის გადაკვეთისთვის საჭირო დოკუმენტებს. ეს არ ეწინააღმდეგება მგზავრთა გადაყვანის ზოგადი პირობების დებულებებს ბილეთის შემოწმების ფარგლებში აუცილებელ შემოწმებასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია, მგზავრთა გადაყვანის ზოგადი პირობების დებულებაში მიეთითოს საჭირო სამგზავრო დოკუმენტების ტარების ვალდებულება.
- თუ თქვენი სატრანსპორტო შეკვეთის შესრულებასთან დაკავშირებული საერთო გარემოებიდან გამომდინარე, ეჭვი გაგიჩნდათ, რომ ვინმემ უნებართვოდ გადაკვეთა საზღვარი, ან უკანონოდ გადააპარა მიგრანტი, პოლიცია გულდასმით მიუდგება თქვენ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

ტაქსით გადაყვანისას:

- გაფრთხილდით საზღვრის მახლობლად მოძრაობისას, თუ მგზავრები ამინდის შესაფერისად არ არიან ჩაცმული, არ შეუძლიათ კომუნიკაცია და დაბნეულის შთაბეჭდილებას ტოვებენ.
- კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეთ უჩვეულო შეკვეთები. შესაძლოა, მგზავრობის დაკვეთა მიზნად ისახავდეს მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანას.

ქარშერინგის და მანქანის გამქირავებელი კომპანიებისთვის:

- განსაკუთრებით ფრთხილად იყავით, თუ არა დამკვეთი, არამედ სხვა პირი დაგემგზავრებათ.
- მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანის ფაქტის დადგენისას, შესაძლოა, თქვენ მანქანაზე ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებები, რაც გარკვეულ პერიოდში შეუძლებელს გახდის მის გამოყენებას.
- როგორც წესი, მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანისას მძიმედ ბინძურდება ან ზიანდება სატრანსპორტო საშუალების სივრცეები. უჩვეულოდ ჭარბი ნაფეხური და ხელის ანაბეჭდები საბარგულში, ან განავლის, შარდის, ოფლისა და სიგარეტის სუნი, ისევე როგორც გამოგლეჯილი რეზინები რეგულარულად მიუთითებენ მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადაყვანის დანაშაულზე.
- მიგრანტის საზღვარზე უკანონო გადამყვანი კრიმინალური დაჯგუფებები ხშირად დაუნდობლად მოქმედებენ უკანონოდ შესაპარებელი პირების, სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელი პირებისა და საქმეში ჩაურეველი პირების მიმართ. პოლიციისგან თავის დასაღწევად მიზანმიმართულად ახდენენ ავარიების პროვოცირებას, რა დროსაც, როგორც წესი, ძლიერ ზიანდება მათ მიერ მოხმარებული მანქანები.
- თუ სატრანსპორტო საშუალების შეკვეთის, გაცემის ან უკან დაბრუნების პროცესში გაჩნდა ეჭვი, რომ ნაქირავები მანქანით იგეგმება ან განხორციელდა მიგრანტების საზღვარზე უკანონო გადაყვანა, ამის თაობაზე აცნობეთ პოლიციას. გთხოვთ, ამ დროის განმავლობაში ხელუხლებლად დატოვოთ მანქანა.

აღკვეთეთ მიგრანტების საზღვარზე უკანონო გადაყვანა - დაიცავით ადამიანის სიცოცხლე!

დაუყოვნებლივ აცნობეთ პოლიციას საქმეში ჩასათრევად გამოლაპარაკების მცდელობები და სხვა დადგენილი ფაქტები!